

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

2 აპრილი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 19:08სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა, დავით ლანჩავა, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, როინ მიგრიაული, ზაზა ხატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფის, „საგაფიცვო კომიტეტის“ ინიციატივა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრთა გაფიცვის შესახებ.
2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადვოკატთა საქმიანობისთვის ხელისშემშლელი მდგომარეობის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შესახებ.

სხდომა გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პირველი საკითხით. მისი განმარტებით, კენჭი უნდა ეყაროს საგაფიცვო კომიტეტის ინიციატივას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმასრულებელმა საბჭომ მხარი დაუჭიროს ან არ დაუჭიროს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატების გაფიცვას. ზვიად კორძაძემ მოითხოვა დაკონკრეტება თუ რა სპეციალიზაციის ადვოკატთა გაფიცვაზეა საუბარი. თავმჯდომარის განმარტებით, დღის წესრიგში დაწვრილებით ვერ იქნებოდა სრულად შეტანილი, აქვე ჩაერთო ზაზა ხატიაშვილი და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და როდესაც საუბარი იყო გაფიცვაზე აქ საუბარი იყო, არამხოლოდ თავისუფალი სასამართლოს უფლებაზე, არამედ ადვოკატების შელახულ უფლებაზეც, ასევე სახელმწიფოში შექმნილ გაუსაძლის

ვითარებას ზოგადად უფლებრივი თვალსაზრისით და უფლებრივი დატვირთვა ქმნის სახელმწიფოს. ამასთან ერთად, სახეზეა ექსტრემალური მდგომარეობა – ჩვენი კოლეგა, ჩვენი წევრი მალხაზ ჯანგირაშვილი, ამაზე იმსჯელა საბჭომ ამ შეკრებამდეც, 24-ე დღეა შიმშილობს და მისი მოთხოვნა არის კონკრეტული: ადვოკატთა გაფიცვა და ამასთან არ უნდა მოხდეს ადვოკატთა ასოციაციისა და მისი წევრების გაყოფა. ამ შეკრების მიზანია ეს პროცესი მოექცეს კანონისმიერ ფარგლებში და ასოციაცია მის ხელთ არსებული საშუალებებით, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების გზით მხარს უჭერდეს ან არ უჭერდეს ამ პროცესს.

ასოციაციის თავმჯდომარე, როგორც საბჭოს ერთერთი წევრი ვხელმძღვანელობ რა იმ მოტივით, რომ ჩვენს სახელისუფლებო წრეებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, იქნება ეს პარლამენტის დონეზე, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე თუ სასამართლო ხელისუფლების დონეზე მიმანია, რომ ჩვენის მხრიდან ჭირდებათ სასაუბროდ ეფექტური ფორმა, რათა გაიგონ რას წარმოადგენს ადვოკატურა საქართველოში და ის რომ მხოლოდ მათი გადასაწყვეტი არ არის დანაშაულებრიობის საკითხი. უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი საჭიროება და ამისათვის როგორც საბჭოს ერთერთი წევრი მე მხარს ვუჭერ დღევანდელ ინიციატივას. იმედი მაქვს მალხაზ ჯანგირაშვილი შიმშილობას შეწყვეტს და მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა გადარჩება. გაფიცვა, როგორც კონსტიტუციით აღიარებული ფორმა არანაირად არ არის დესტრუქციული ხასიათის მატარებელი, ეს არის ჩვეულებრივი გამოხატულება გამომდინარე კონკრეტული ადამიანების შეხედულებიდან და ძალიან რომ მოინდომოს ასოციაციამ, ვერც აღუდგება წინ ამ გადაწყვეტილებას, ვერც ხელს შეუწყობს იმიტომ რომ ეს არის ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რადგან ადვოკატები იზოლატორთან რომ დადგებიან თვითონ გადაწყვეტენ წარუდგინონ თუ არა ადვოკატის მოწმობები საშუა ბიუროს. მათი ეს გადაწყვეტილება მიბმულია ძალიან ბევრ ეფექტზე, მათ შორის ეკონომიურ ეფექტზე, მიიღონ თუ არა ჰონორარი და გაიფუჭონ თუ არა ურთიერთობა სამართალმწარმოებელ ორგანოებთან. ვერავის მივცემ გარანტიას, რომ ყველა შეუერთდება პროტესტს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი გულწრფელი პროტესტი არ უნდა განხორციელდეს იმის გამო რომ ყველა არ შემოუერთდება. მიუხედავად ყველაფრისა, მოცემულ მომენტში ეს არის ეფექტური ფორმა, როდესაც სასამართლოს ყველაზე დიდ მოკავშირედ დღეს ჭირდება ადვოკატურა, რათა თვითონ გათავისუფლდეს წნეხისაგან, რომელშიც იმყოფება.

ზაზა ხატიაშვილის განმარტებით, საგაფიცვო კომიტეტის შეიქმნის ერთერთი ინიციატორია და გაფიცვა აუცილებელია, რადგან დღეს საქართველო არის არნახული საპროკურორო სახელმწიფო, უფრო ბინძური ვიდრე იყო საბჭოეთის დროს. ადვოკატის როლი არის დაკნინებული. ბევრი ადამიანია, რომლებსაც ვიცავდი ჩემი სახსრებით, დაკავებული არიან მხოლოდ იმიტომ რომ წინააღმდეგობა გაუწიეს პროკურორს, მაგალითად მამუკა ნოზაძის საქმე – ადამიანი პროცესზე ადვოკატი არ იყო და მხოლოდ იმიტომ რომ პროკურორთან ქონდა გართულებული ურთიერთობა, დაზარალებულს ათქმევინეს ეს ჩემი ადვოკატი იყო და იგი თაღლითობისთვის მისცეს პასუხისგებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ სავალალო ვითარებას მხოლოდ პროტესტის უკიდურესი ფორმით თუ გაეწევა წინააღმდეგობა.

დავით ასათიანმა მოითხოვა დაკონკრეტება თუ რას გულისხმობდა და რამდენ დღიანი იყო პროტესტი.

ზაზა ხატიაშვილმა განმარტა, რომ შეიქმნება ათკაციანი ჯგუფი, რათა გააკონტროლონ პროტესტის განმავლობაში ვინ მიიღებს პროცესში მონაწილეობას. პროტესტი იმ შემთხვევაში იქნება ერთ დღიანი თუ შედეგს გამოიღებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ემთხვევა საეკლესიო დღესასწაულს – ხარებას გაფიცვა განხორციელდება 2008 წლის 7 აპრილს.

გოჩა სვანიძის განმარტებით, არის ძალიან ცუდი სიტუაცია. გაფიცვა მიუღებელია. იყო პერიოდი, როდესაც არავინ ხმას არ იღებდა. ასოციაციის შექმნის დღიდან უნდა გატარებულიყო რაღაც ღონისძიებები, რომ დღეს ამ შედეგამდე არ მივსულიყავით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამარცხვინო მდგომარეობაა სისხლის სამართალიში, რადგან ადვოკატი ესწრება თუ არა მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ასოციაციამ უმძიმესი მდგომარეობის გამო გაატაროს გადაუდებელი ღონისძიებები. ჩვენ დღეს ჯანგირაშვილის სიმამაცემ შეგვეკრიბა. მიუხედავად პროტესტის ამ ფორმის მიმართ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა, იძულებული ვარ გაფიცვას მხარი დაუჭირო.

დავით ასათიანის განმარტებით, ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამ შემთხვევაში ორგანიზატორული ფუნქციები ასოციაციას ვერ ექნება და აღნიშნა, რომ პატივს ცემს ამ გადაწყვეტილებას. აქვე დასძინა, რომ არის ტრაგიკული სიტუაცია, რომელიც უნდა შეიცვალოს და ეჭვქვეშ დააყენა ერთდღიანი გაფიცვის ეფექტურობა, რადგან შიმშილობის შეწყვეტა დამოკიდებული იყო ადვოკატთა გაფიცვასთან. სევე, შესაძლებლად მიიჩნია პროტესტის სხვა ფორმების გამოყენება. მისი განმარტებით, საბჭოს სახელით უნდა გაკეთებულიყო განცხადება და ყურადღება გამახვილებულიყო იმ ფაქტზე, რომ საკითხი ეხება კოლეჯის სიცოცხლეს. და დაინტერესდა გაფიცვა მხოლოდ სასამართლოს ეხებოდა თუ არა.

ზაზა ხატიაშვილმა განმარტა, რომ ეს საბჭოს გადასაწყვეტია.

გოჩა სვანიძის მოსაზრებით ეს უკანონობა იქნება, ეს არ არის პროფკავშირები, საბჭოს ამის უფლება არ აქვს. საბჭო კონკრეტულ ფაქტებს ვერ განაზოგადებს და ამაზე ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება.

ზვიად კორძაძისთვის გაუგებარია ადვოკატის გაფიცვის თემა. მისი მოსაზრებით, ექიმისა და ადვოკატის გაფიცვა ერთმანეთს გავს, მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ ამ გაფიცვას მხარს უჭერს იმის გამო, რომ საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. მისი განმარტებით, ადვოკატურაში დაბრუნდა იმ მიზნით, რომ როგორც ერთმა ადვოკატმა, ზვიად კორძაძემ შეძლოს ამ პროფესიის გარდაქმნა პატივსაცემად. პროკურატურა გაძლიერდა ძალისმიერი მეთოდებით და ადვოკატურა არ გაძლიერებულა. ღოგორ ამ პროფესიის წარმომადგენლები არ აღმოვჩნდით ერთიანი. მისი მოსაზრებით, სასწრაფოდ მოწვეულ უნდა იქნას კრება და საბჭო უნდა გადადგეს. დღეს საბჭო ადვოკატთა და ამ პროფესიის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. შესაბამისად, ზოგადი მიზნების მისაღწევად ადვოკატთა კორპუსი უნდა შეიკრიბოს და გამოთქვას მოსაზრებები კანონში ცვლილებებზე. დღევანდელი გადაწყვეტილები პარალელურად, როგორც კი ფიზიკური შესაძლებლობა მიეცემა თავმჯდომარეს კრება უნდა იყოს მოწვეული.

თავმჯდომარის განმარტებით გადადგომას არავინ აპირებს და როდესაც შესაძლებლობა მიეცემა ისედაც აპირებს კრების მოწვევას.

ზვიად კორძაძის განმარტებით არის რაღაცეები რისი შეხებაც არ შეიძლება. წევრობა იმ შემთხვევაში ჭირდება თუ ორგანიზაციისთვის რამის გაკეთებას შეძლებს. ადვოკატთა შეკრების მიზანი თუ ის არის, რომ ასოციაცია მხარს უჭერს კი ბატონო, მაგრამ მას მიაჩნია, რომ შეკრებამ ქუჩიდან ასოციაციაში უნდა გადმოინაცვლოს.

რუსუდან პიტავას განმარტებით, ის არ არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და შესაბამისად ამ საკითხში კომპეტენტური ვერ იქნება, მაგრამ პატივს ცემს ამ ინიციატივას მით უფრო, რომ საკითხი ეხება კოლეჯის ჯანმრთელობას. აფიცვის დროს ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ხომ არ არის მოსალოდნელი უხერხულობა კლიენტთან.

გოჩა სვანიძის განმარტებით, გაფიცვის დეტალებზე საბჭო ვერ იმსჯელებს,, ამას გადაწყვეტს „საგაფიცვო კომიტეტი“.

ზვიად კორძაძემ აღნიშნა: რომ არა ჯანგირაშვილის შიმშილობა, განიხილებოდა პროტესტის სხვა მეთოდები.

გოჩა სვანიძემ განმარტა, რომ პროტესტი გვინდა, მაგრამ საბჭო გაფიცვას მალხაზ ჯანგირაშვილის გამო ეთანხმება.

როინ მიგრიაულმა აღნიშნა, რომ უერთდება ამ ფორმას, რადგან საბჭოს უფლება არ აქვს მხარი არ დაუჭიროს. თუ არსებობდა იმის შიში, რომ რომელიმე ადვოკატი გაფიცვას გატეხდა, აღმასრულებელი საბჭოს პოზიცია გაფიცვის მხარდამჭერთა წრეს გააფართოვებს.

დავით ლანჩავას განმარტებით, ვინაიდან ასეთი ექსტრემალური შემთხვევა არ ყოფილა 99%-ით ეთანხმება. ადვოკატთა ასოციაცია არის ბავშვი, რომელსაც მოფრთხილება უნდა. ამ ორგანიზაციას პატარა ისტორია აქვს, რა თქმა უნდა შეცდომები იყო, მაგრამ ამის გამო ყველაფერი ერთმანეთს არ უნდა დავაბრაოთ. ყველაზე დიდი მონაპოვარი დღესდღეობით არის ის, რომ ასოციაცია არ არის მართვადი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ერთმანეთი დასახმარებლად. პროტესტის ეს ფორმა ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ როდესაც კოლეგა შიმშილობს არ შეიძლება ასოციაციის როლის გამორიცხვა. საბჭო უნდა შემოიფარგლოს განცხადებით და ნუ იქნება სკეპტიკური დამოკიდებულება. აქ ყველა წესიერი ადამიანია. ერთ რამეზე შევთანხმდეთ, საჭიროა დრო. ვერ დავეთანხმები აზრს, რომ ამ აქციას აზრი არ აქვს. რადგან „საგაფიცვო კომიტეტი“ მოვიდა ე.ი. ეს აუცილებელია. მთავარია სწორი გზით სვლა, სასწორზეა სიცოცხლე, რომელიც ყველაფერზე ღირებულა. ამოსავალი წერტილია, რომ ამ ადამიანმა შეწყვიტოს შიმშილობა.

რუსუდან პიტავას მოსაზრებით, კარგი იქნებოდა თუ საბჭო მალხაზ ჯანგირაშვილს მიმართავდა თხოვნით, გაეთვალისწინებინა ასოციაციის მხარდაჭერა, გაფრთხილებოდა ჯანმრთელობას და შეეწყვიტა შიმშილობა.

გოჩა სვანიძის განმარტებით 100% შედეგისთვის ზედა ინსტანციიდან უნდა დაიწყოს გაფიცვა.

თუ გაფიცვა გამოცხადდება ორშაბათს და პარალელურად სასამართლო აჩვენებს ჩაწერილ პროცესებს, არ იქნება კარგი დასძინა ზვიად კორძაძემ. ამ მოვლენების საფუძველზე არავინ კამათობს, იმიტომ რომ ადვოკატის როლი იგნორირებულია. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების გაკეთების თაობაზე. ამ აქციით ამ თემაზე საუბარი არ უნდა დასრულდეს და უნდა გაგრძელდეს უფრო აკადემიური ფორმით.

გ ა დ ა წ ყ დ ა :

1. „საგაფიცვო კომიტეტის“ ინიციატივისთვის მხარდაჭერა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი, დ. ასათიანი, რ. პიტავა, დ. ლანჩავა, ზ. კორძაძე, გ. სვანიძე, რ. მიგრიაული, ზ. ხატიაშვილი.

კახაბერ ასლანიშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე

